საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №283

2013 წლის 7 მაისი

ქ.თბილისი

,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების (სსმ, III ნაწ., 2007 წ., №131, მუხ. 1421) პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-5 მუხლის 1^1 პუნქტი ამოღებულ იქნეს.
2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2013 წლის 1 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**